ხელშეკრულება №1-217
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 21 აგვისტო 2014 წ

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის თანახმად, ერთის მხრივ **სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტო"** (შემდგომში **,,შემსყიდველი"**), წარმოდგენილი მისი უფროსის **ვლადიმერ ლაზარიშვილის** სახით, და მეორეს მხრივ, **შპს „კონექტი"** (შემდგომში **,,მიმწოდებელი"**) წარმოდგენილი მისი დირექტორის **დავით რიკიაშვილის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შესყიდვის ობიექტის დასახელება: სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს ვებ-გვერდის რედაქტირების პროგრამული პაკეტები **(CPV48224000)**

1.2. შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვა.

1.3. დაფინანსების წყარო: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის არასაბიუჯეტო სახსრები.

2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება **4900.00 (ოთხიათასცხრაასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.**

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. შესყიდვის ობიექტი უნდა იყოს ხელშეკრულების დანართი №1-ში მითითებული მომსახურებისა და შემსყიდველთან წინასწარ შეთანხმებული პირობების შესაბამისი.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღების ადგილია მიმწოდებლის იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა მოხდეს სრულად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2014 წლის 22 სექტემბერისა.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. თუ შესყიდვის ობიექტი არ იქნება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ში მითითებული პარამეტრების შესაბამისი, მაშინ შემსყიდველი იტოვებს უფლებას, მოსთხოვოს მიმწოდებელს, 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში შეცვალოს შესყიდვის ობიექტი შესაბამისი პარამეტრების მქონე შესყიდვის ობიექტით ან ცალმხრივად გააუქმოს ხელშეკრულება.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია, მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.3. მიმწოდებელს უფლება აქვს, მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია, შეუფერხებლად მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხისა და მოცულობის შესყიდვის ობიექტი.

6. ანგარიშსწორების წესი და პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო ანგარიშსწორება.

6.2. ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

6.3. ანგარიშსწორების საფუძველია მიღება-ჩაბარების აქტი და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტაცია.

7. მომსახურების მიწოდებისა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

7.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირია სსიპ "გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის ტელეკომუნიკაციის სამსახურის უფროსი თამარ გობეჯიშვილი.

7.3. შესყიდვის ობიექტის საბოლოო შემოწმება ხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილზე, წინამდებარე ხელშეკრულების ორივე მხარის წარმომადგენლების მონაწილეობით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი, თავიანთ ვალდებულებათა სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა სტიქიური მოვლენები, ომები ან საომარი მდგომარეობები, აგრეთვე სხვა გადაულახავი გარემოებები, თუ ისინი უშუალოდ ახდენენ გავლენას ხელშეკრულების შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულება წყდება ან მისი შესრულების ვადა გადაიწევს შეასაბამისი დროით.

8.2. მხარე, რომელიც აღმოჩნდება ფორს-მაჟორულ სიტუაციაში, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა გადააჭარბებს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვის ობიექტის ხარისხი არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. და 3.1 პუნქტებში მითითებულ პარამეტრებს, შემსრულებელი ვალდებულია, შემსყიდველის წერილობითი ან ზეპირი შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს ნაკლის ან/და დეფექტის აღმოფხვრა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი განაცხადებს არამოტივირებულ უარს შესყიდვის ობიექტის შესყიდვაზე, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

10.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შემთხვევაში, შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

10.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.4. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს სტრატეგიული დაგეგმვისა და სისტემური მმართვის დეპარტამენტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სმმართველოს უფროსი გიორგი მაჭავარიანი.

11. დავის გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია, გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. ასეთი მოლაპარაკების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. დასკვნითი დებულებები

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია **2014 წლის 23 ოქტომბრის ჩათვლით.**

12.2. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო 2 (ორი) ეგზემპლარი შემსყიდველს.

12.3. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
საიდენტიფიკაციო კოდი: 204559691
მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებელის გამზ.№150
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს „პროკრედიტ ბანკი" ც/ფ
ბანკის კოდი: GE22
ანგარიშის №GE32PC0133400100000051
ტელ: 243 95 45

ვლადიმერ ოაზარიშვილი
სააგენტოს უფროსი

"მიმწოდებელი"

შპს „კონექტი"
საიდენტიფიკაციო კოდი: 205275833
მისამართი: ქ. თბილისი,ვაჟა-ფსაველას გამზ. 71
საბანკო რეკვიზიტები: სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის №GE79BG0000000330885400
ტელ: 577 41 00 15

დავით რიკიაშვილი
დირექტორი

2014 წლის 21 აგვისტოს სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება
№1-217 დანართი №1

ვებ-საიტის პროგრამული უზრუნველყოფა

- შესაბამისი სტრუქტურისა და დიზაინის მიხედვით შეიქმნას საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ ვებ-საიტი;

მოთხოვნები

- ვებ-საიტი უნდაიყოს აღჭურვილი დამკვეთის მიერ წარდგენილი ან შემსრულებლის მიერ შეთავაზებული ქართულ ენოვანი შინაარსის მართვის სისტემით (CMS);
- ვებ საიტი უნდა იტვირთებოდეს და მუშაობდეს ხარვეზების გარეშე ყველა თანამდროვე პოპულარულ ვებ ბრაუზერში (IE , Mozilla, Chrome, Opera, Safari);
- ვებ-საიტი ოპტიმიზირებული უნდა იყოს ძირითადი საძიებო სისტემების და W3C სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად;
- ვებ-საიტზე არსებული ფაილების და დირექტორიების განლაგება უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტების შესაბამის იერარქიულ პრინციპს;
- ყოველ გვერდს უნდა გააჩნდეს ე.წ. მეგობრული ბმულები (Friendly URL) , რომლებიც განისაზღვრება ვებ-გვერდის ადმინისტრატორის მიერ;
- საიტის მნიშვნელოვანი ნაწილი, უნდა იყოს HTML ტექსტურ ფორმატში;
- სასათაურე ტეგების გამოყენებით საძიებო სისტემისათვის უნდა გამოყოფილი იყოს მნიშვნელოვანი ტექსტები.
- სურათები უნდა იყოს gif, jpg, ან png ფორმატში და HTML ტეგში გაწერილი უნდა ჰქონდეს alt ატრიბუტი, რომელიც საძიებო სისტემას აძლევს სურათის ტექსტურ აღწერას.
- კოდის წერისას უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ შესაძლებელია არსებულ გვერდზე ფუნქციონალის გაზრდა, სხვადასხვაკომპონენტებისდამატება, მისი თარგმნა სხვა ენაზე დეველოპერის ჩარევის გარეშეც.
- ვებსაიტს უნდა გააჩნდეს პოპულალური სოციალურ ქსელებთან ინტეგრირებისსაშუალება.
- ვებ-საიტს უნდაქონდეს **ქართული და ინგლისური ენების** მხარდაჭერა;

შპს „კონექტი“ დირექტორი: დავით რიკიაშვილი

CONNECT
205275833
WWW.CONNECT.GE

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“
უფროსი ვლადიმერ ლაზარიშვილი